ხალხთან ხელიხელ

ვებ-საიტ www.enverhoxha.ru-ს წინამდებარე ინტერნეტ-გამოცემა ქართულად ნა-თარგმნია გამომცემლობა «8 NËNTORI»-ის მიერ 1978 წელს დაბეჭდილი ალბანური ფოტოალბომის – «GJU ME GJU ME POPULLIN» – რუსული გამოცემიდან.

თარგმანი ალბანურიდან შეასრულეს:

სერგეი ვლადიმერის ძე ლისიკოვმა და ფილ. მეცნ. კანდ. ვალერი მიხეილის ძე სერდუშკინმა.

ქართული თარგმანი:

კობა კახიძე

რუსული თარგმანის წინასიტყვაობა:

ორიგინალური გამოცემა ძირითადად განკუთვნილი იყო ალბანელი მკითხველისთვის, რის გამოც იგი შეიცავს უამრავ ეროვნულ მეტაფორას, ფოლკლორულ ჩანართს, მითითებებს ისტორიულ მოვლენებზე, ადგილებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებებს და მისთ., რომლებიც უცხოელებისთვის ზოგჯერ გაუგებარია.
მიუხედავად ამისა, მთარგმნელთა ძალისხმევით მასალა მაქსიმალურად გასაგებად გადმოითარგმნა და თანამედროვე ქართულენოვან მკითხველს ამ წიგნით საშუალება მიეცა სახალხო ალბანეთისა და ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელის, ამხანაგ ენვერ ხოჯას, პიროვნების განხილვის მეშვეობით ახლოდან დაინახოს ალბანეთში სოციალისტური მშენებლობის პერიოდში თავდადებული ალბანელი ხალხის ცხოვრება, შრომა და ყოფა.

www.enverhoxha.ru
2012 წელი

საგამომცემლო სახლი «8 ნენტორი»
ტირანა 1978



ალბომი „ხალხთან ხელიხელ“**, რომელიც ეძღვნება ამხანაგ ენვერ ხოჯას დაბადებიდან 70 წლის** იუბილეს, არა მარტო ჩვენი ძვირფასი ხელმძღვანელის ცხოვრებასა და საქმეებზე, არამედ მთელი ხალხის ცხოვრებასა და საქმეებზეც. ხალხის ამ დიადი ცხოვრების წიაღში მრავალი წლის მანძილზე კაშკაშებს მისი საყვარელი შვილის, პარტიისა და ალბანეთის სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლისა და ხელმძღვანელის ფიგურა. ამ ალბომის გადათვალიერებისას ჩვენ ვხედავთ ჩვენი ახალი საზოგადოების დაბადებასა და განვითარებას, ვცედავთ ბავშვებს, ჩვენს ახალგაზრდობასა და უფროს თაობას, ვხედავთ დონეს, რომლამდეც ავიდა სოციალისტური ალბანეთი. მისი გვერდებიდან ჩვენამდე აღწევს სახელოვანი ეროვნულ–განმათავისუფლებელი ბრძოლის, ძალების სოციალიზმის ასაშენებლად და სამშობლოს დასაცავად ძალების დაძაბვისა და უდიდესი სამუშაოს ექო, ისმის ჩვენი გამარჯვების მარში უმაგალითო ბრძოლისა ყველა ჯურის მტერთან – იმპერიალისტებთან, რევიზიონისტებთან და რეაქციონერებთან, – ბრძოლისა იმისათვის, რომ გაგვერღვია ალყები და ბლოკადები, იმისათვის, რომ გაგვეზარდა ახალი ალბანეთის ღირსება და დიდება. ამ ნათელ ისტორიულ ეპოქაში პარტიის მტკიცე ხელი ყოველთვის სუფთად ინახავდა მარქსიზმ–ლენინიზმის დროშას.

გიროკასტრასთვის დამახასიათებელ ამ სახლში 70 წლის წინ,
1908 წლის 16 ოქტომბერს, დაიბადა ამხანაგი ენვერ ხოჯა.

«რამდენი იმედი და რამდენი ოცნება დაიბადა ახალ-
გაზრდობის წლებში ჩერჩიზის ბრინჯაოს ძეგლის წინ!»

(გიროკასტრა. ამხანაგი ენვერ ხოჯა, მონუმენტთან მარცხნივ ზედა რიგში)

«და გავემგზავრეთ შკოდრაში. სოფლის რამდენიმე მოსახლესთან ერთად, მივაწყეთ რა პალტოები გვერდზე, ხელებდაკაპიწებული შევუდექით შტოის მიზის თხრას და ამოვთხარეთ ჩერჩიზისა და მუჩო ტიულის ნეშტები».

(შკოდრა, 1937 წელი)

ამ აივნიდან მოისმინა შკოდრამ ამხანაგ ენვერ ხოჯას ხმა, ალბანეთის ახალგაზრდობის ხმა, რომელმაც დაიფიცა, რომ სამუდამოდ შეინახავდა სახელოვანი პატრიოტებისა და მებრძოლების ხსოვნას, და რომ მომავალი ალბანეთის იმედად იქცეოდა.

კორჩელ ახალგაზრდობასთან.

(1938 წელი)

კორჩაში, 1937 წელი.



«ვიბრძოლებთ ახალი
სამყაროსთვის»

(ს. შოლის სურათი)

მაღაზია «ფლიორა» კომუნისტებისთვის ერთგვარ მშობ-
ლიურ სახლად და მომავალზე ოცნების ადგილად იქცა.

«ამხანაგი ენვერ ხოჯა პეზის რაზმში»

(გ. მადის სურათი)

ტირანაში გამართულ ანტიფაშისტურ დემონსტრაციაზე, ალბანეთის კომუნისტური პარტიის დაფუძნებამდე 10 დღით ადრე.

აპპ-ს დამაარსებელი და
ხელმძღვანელი.

(1941 წელი)

«პარტია დაარსდა»

(შ. ჰიუსის სურათი).

პეზეში გამართულმა კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ–
განმათავისუფლებელ ფრონტსა და სახალხო ხელისუფლებას.

(სახლი, სადაც ჩატარდა პეზეს კონფერენცია)

პარტიზანული მეგობრობა

(ბათა მუსლიმთან ერთად. ლიაბინოტი, 1943 წელი)

პარტიზანებსა და გლეხებს შორის.

(ლიბრაჟდას ფერდობები. 1943 წლის ივლისი)

მის გვერდით მებრძოლებს გამარჯვების რწმენა ემატებოდათ.

(ვასილ შანტოსთან ერთად, 1943 წელი)

«1943 წლის 10 ივლისი. გენერალური შტაბის შექმნა».

(გ. მადის სურათი)

1943 წლის აგვისტო.

ვინ იბრძოდა, როცა გარეთ ქარიშხალი ვიდოდა? —
ჩვენი ენვერი და მასთან ქალაქთა ღარიბობა.

1-ლი დამრტყმელი ბრიგადის პარტიზანებთან ერთად, 1943 წლის აგვისტო.

ბელადთა მაშინ ყმაწვილებს შუბლზე გვაკოცა, — და თვალები აგვიკიაფდა.
ახლა კი სწორედ ის კიაფობს ელექტროდენით ჰეს–ის ტურბინებში, რომლებსაც ხალხს ვუშენებთ
(ჩერმენიკის მახლობლად, 1943 წელი)

შენგიერგში, ტირანას მახლობლად მე–2 დამრტყმელი ბრიგადის ფორმირებისას

(1943 წლის 28 ნოემბერი)

ქვეყანაში აპპ-ის I კონფერენციის გამართვის წინ.

სპირო მოისიუსთან ერთად ელბასანის ოლქში.

ამხანაგი ენვერი მტრის მიერ ზამთრის ოპერაციის ჩატარების პერიოდში.

(1943-1944 წლები)

«ვარღვევთ ალყას»

(ფ. ჰაჯიუს სურათი)

1944 წლის გაზაფხულის შეტევისას.

ჩერვენიკელი პატარა გოგონასთვის დაუვიწყარი სამახსოვრო ფოტო ენვერ ხოჯასთან და ექიმ მედარ შტიულასთან ერთად.

მარქსიზმ–ლენინიზმის შესწავლის პარტიული კურსების
მსმენელებთან ერთად. პანარიტი, 1944 წელი.

იმ პარტიზანებთან ერთად, რომლებთაც გენერალური შტაბის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალებოდათ, 1944 წელი.

გამგზავრება პერმეტის ყრილობაზე.

პერმეტის ყრილობის დარბაზისკენ წასვლა.

ზემბელის მთის მახლობლად
ენვერს უსმენს პერმეტი...

პერმეტის ყრილობაზე (1944 წლის მაისი)

პერმეტში გამართული ყრილობის დღეებში.

პერმეტის ყრილობაზე ჩაეყარა საფუძველი ალბანეთის სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოს.

უახლოეს თანამებრძოლებსა და თანამშრომლებს შორის. პერმეტი, 1944 წელი.

...ბრძოლიდან — კვლავ ბრძოლაში...

ალბანეთის სრული გათავისუფლების გეგმა დენთით
გადაბუგულ მთის ფერდობებზე შემუშავდა.
(1944 წელი)

ჩვენი ახალგაზრდობა არასდროს დაივიწყებს ჰელმესს, როდესაც პირველი ყრილობის დელეგატთა რიგებს შორის გაიარა მისმა საყვარელმა ხელმძღვანელმა და მასწავლებელმა.

ჰელმესში გამართულ ახალგაზრდობის პირველი ყრილობის
დღეებში ამხანაგი ენვერ ხოჯა ნაკო სპირუს ესაუბრება.

ახალგაზრდობის ყრილობის მონაწილენი და ათასობით სხვა ახალგაზრდა, რომლებიც მთებში დარჩნენ, გულში ინახავდა თავიანთი საყარელი მასწავ-ლებლის გამოსვლას, როდესაც ომისა და მშვიდობის სახიფათო გზებს სერავ-დნენ, — ისინი მას ხელჩანთაში ჩაწყობილ ვაზნებივით ინახავდნენ...

ამხანაგი ენვერი სიტყვით გამოდის ჰელმესში გამართულ ახალგაზრდობის ყრილობაზე.

და კიდევ ერთი სამახსოვრო ფოტო ჰელმესიდან,
სადაც ახალგაზრდობის I ყრილობა ჩატარდა.

რამხელა ხარკი – რამდენი შეტაკება ფაშისტებთან, ნაცისტებთან და მოღალატეებთან, რაოდენი ტანჯვა და სისხლი წვიმაში, თოვლსა და პაპანაქებაში, შიმშილი, რამდენი ამხანაგი, რომ-ლებმაც მთებში ჰპოვეს სამარე სიყმაწვილეში – დასჭირდა გზას, რომელმაც ბერატამდე მიგვიყვანა!

ამხანაგი ენვერი სიტყვით გამოდის ბერატში გამართულ კრებაზე, სადაც შეიქმნა სახალხო–დემოკრატიული მთავრობა. მის მინისტრებად დაინიშნენ პარტიზანები, რომელთა სამოსელი და პორტფელები მტრის ტყვიების იყო დახვრეტილი.

(1944 წელი)

ბერატში, 1944 წელი.

ოდრიჩანში.

(1944 წელი)

თავისუფლების საათი ახლოვდება.

გათავისუფლებულ ტირანაში.

(1944 წლის 17 ნოემბერი)

ნოემბრის აისები.

თითოეული ქუჩისთვის, თითოეული სახლისთვის სისხლიან ბრძოლაში უფრო თანამედროვე იარაღით შეიარაღებულ დაუნდობელ მტერთან, არმიისა და ტირანას მკვიდრთა რკინისებურმა ნებამ გამარჯვება მოიტანა.

(1944 წლის ნოემბერი)

გამარჯვებულთა სადღესასწაულო მარში.

(ტირანა, 1944 წლის 28 ნოემბერი)

თავისუფლების პირველ წელს.

ახალგაზრდობის II ყრილობა.

(1945 წლის 16 აპრილი)

ჩვენი სახალხო არმიის პირველი წლის იუბილეზე, იმ არმიისა, რომელსაც მარად ექნება დანთებული პარტიზანული კოცონი.

(1945 წლის 10 ივლისი)

ალბანეთის დემოკრატიული
ფრონტის I ყრილობა.

(1945 წლის აგვისტო)

პროფკავშირთა I ყრილობა.

(1945 წლის ოქტომბერი)

«მიწა — შენია, იგი გეკუთვნის შენ, ვინც მას ამუშავებ...»

კონსტიტუციურ ასსამბლეაზე გამოსვლისას.

(1946 წლის 11 იანვარი)

ქალთა ორგანიზაციების II ყრილობაზე.

(1946 წლის 30 ივნისი)

«ალბანელმა ხალხმა თავისი დელეგაცია პარიზში გაგზავნა არა იმისთვის, რომ იქ ანგარიში ჩააბაროს, არამედ პირიქით — მოისმინოს მათი ანგარიში, ვინც მას ამხელა ზარალი მიაყენა და ვისთანაც ეს ხალხი ბოლომდე გააფთრებული იბრძოდა».

პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, 1946 წლის სექტემბერი.

შეხვედრა გიორგი დიმიტროვთან.

(ბულგარეთი, 1947 წელი)

— ეს შაშხანა მუდამ მზად გქონდეთ საყვარელი სამშობლოს დასაცავად...

(1946 წლის 10 ივლისი)



ჩვენი პირველი, ახალგაზრდობის მიერ აგებული, რკინიგზა,
რომლის ფოლადის ტოტებიც ხვალ მაღალ მთებს მოეფინება.

ალბანეთში პირველი რკინიგზის მშენებლობის დაწყება, 1947 წლის 1 მაისი.

სოციალიზმის ახალგანრდა მებრძოლთა დიადი არმადის მწყობრად ჩავლა თავიანთი საყვარელი მეთაურის წინაშე.

ხალხის შვილი — ხალხთან ერთად.

(დრაშოვიცი, 1947 წლის ივლისი)

უძვირფასეს ადამიანთან ჩახუტება.
(კუჩი, 1947 წლის ივლისი)

სიდიადით გაბრწყინებული პარტიისთვის მიმიძღვნია
ჩემი სიმღერაც და ჩემი ცეკვაც.

კეთილი იყოს შენი ჩამობრძანება, ვაჟო ჩემო!

ჩერჩიზის მოედანზე, როდესაც თავისუფლება დაბადებიდან
სამი წლისაც არ იყო.

კიდევ ერთი სარკინიგზო ხაზი გაჩნდა რესპუბლიკის რუკაზე.

სარკინიგზო ხაზის საზეიმო გახსნა

დურესი-ტირანა, 1949 წლის 23 თებერვალი.

ალბანეთის კომუნისტური პარტიის I ყრილობამ განახორციელა ისტორიული შემო-
ბრუნება პარტიისა და მთელი ქვეყნის ცხოვრებაში, გადაჭრით დააყენა იგი მარქ-
სიზმ-ლენინიზმის გზაზე, განსაზღვრა ძირეული ორიენტირები სოციალიზმის სა-
ფუძვლების მშენებლობისათვის.

ფრირ აპპ-ის I ყრილობის სხდომათა დარბაზიდან.

1948 წლის 8 ნოემბერი. ამხანაგი ენვერ ხოჯა სიტყვით გამოდის აპპ-ის I ყრილობაზე მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

«... კოლექტივიზაციის საკითხი... — ესაა ჩვენი ნათელი მომავალი სოფლად..., ესაა სოციალიზმის გზა».

სასოფლო კოოპერატივების I ყრილობაზე.

1949 წლის თებერვალი.

პატივის მიგება დიადი ლენინის ხსოვნისადმი...

ვიზიტი მოსკოვში, ლენინის მავზოლეუმის მონახულება (1949 წლის აპრილი)



და სკანდირებდა მთელი ალბანეთი: «შენთან, სტალინ, შენთან, ენვერ!»

დამკვრელი მშრომელებისა და ნოვატორების I ეროვნული კონფერენცია.

(1951 წლის მარტი)

ალბანეთი განუხრელად ადგას ცოდნის გზას,
რომელსაც მას პარტია უნათებს.

უმაღლესი სასწავლებლების საზეიმო გახსნაზე
1951 წლის 20 ნოემბერი.

პირველი ყვავილი ჰიდროელექტროსადგურების თაიგულში, პირველი პატარა ლენტი შრომაში, რომელსაც ხალხისთვის სინათლე მოაქვს...

ლენინის სახ. ჰიდროელექტროსადგურის გაშვება, 1951 წლის 27 ნოემბერი.

აქ დავიწყეთ ბრძოლა მდინარე მატისთვის.

მდინარე მატზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საზეიმო დაწყება, 1952 წლის იანვარი.

ალბანეთის შრომის პარტიის II ყრილობამ დასახა ალბანეთის აგრარულ–ინდუსტრიულ ქვეყნად ქცევის ორიენტირები.

ფოტო აშპ-ის II ყრილობის სხდომიდან.

1952 წლის 31 მარტი. ამხანაგი ენვერ ხოჯა სიტყვით გამოდის აშპ-ის II ყრილობაზე მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

აშპ-ის II ყრილობაზე ამხანაგ მეჰმეტ შეჰუსთან ერთად.

ვიზიტი ბურელში.
(1952 წლის სექტემბერი)

«არაფერი არ გვსიამოვნებს და გვახარებს მე და ჩემს ამხანაგებს იმაზე მეტად, რასაც განვიცდით სამშობლოს შორეული კუთხეების მოსახლეობასთან შეხვედრისას, როდესაც მათთან პირისპირ ვსაუბრობთ...»

(ბურელი, 1952 წლის სექტემბერი)

... დე, იყოს აქ მშვენიერი ტბა...

«სინათლის გზის» მშენებლობაზე, 1952 წელი.

ჩვენი კინოხელოვნების ასაყვავებლად.

კინოსტუდიის საზეიმო გახსნა, 1952 წლის ივლისი.

ფიცი სტალინის ძეგლთან.

(1953 წლის 9 მარტი)

აშპ-ის III ყრილობამ დაიცვა პარტიის რევოლუციური პოლიტიკა და ამ პოლიტიკის სულისკვეთებით განსაზღვრა სოციალიზმის ეკონომიკური ბაზის მშენებლობის ახალი ამოცანები, წამოსწია რა წინა პლანზე სოფლის მეურნეობაში კოლექტივიზაციის დასრულების აუცილებლობა..

ფოტო აშპ-ის III ყრილობის სხდომათა დარბაზიდან.

1956 წლის 25 მაისი. ამხანაგი ენვერ ხოჯა სიტყვით გამოდის აშპ-ის III ყრილობაზე მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

ეროვნული აღორძინების დიად მოღვაწეთა – აბდიულის, ნაიმისა და სამის (ფრაშერი) – და მათ ამხანაგთა ოცნება იმაზე, რომ ალბანეთს თავისი უნივერსიტეტი ექნებოდა, მხოლოდ პარტიის ეპოქაში გახდა შესაძლებელი..

უნივერსიტეტის გახსნის ცერემონია, 1957 წლის სექტემბერი.

ჰიდროელექტროსტანციების... «აღლუმი».

კ. მარქსის სახელობის ჰმს-ის საზეიმო გახსნა, 1958 წლის იანვარი.

კოოპერატორებთან.

(ბერატი, 1958 წლის ოქტომბერი)

ვურგუს რაიონის ჭაობები წარსულს ჩაბარდა...

არხის საზეიმო გახსნა ჩუკეში, 1959 წლის ივნისი.

აშპ-ის IV ყრილობა ისტორიაში შევიდა როგორც ყრილობა, რომელმაც ახალი ეტაპი გახსნა ქვეყნის განვითარებაში – სოციალისტური საზოგადოების ყოვლისმომცველი მშენებლობის ეტაპი, მანვე მორამზადა პარტია თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ გენერალური შეტევისთვის.

ფრირ აშპ-ის IV ყრილობის სხდომათა დარბაზიდან.

1961 წლის 23 თებერვალი. ამხანაგი ენვერ ხოჯა სიტყვით გამოდის აშპ-ის IV ყრილობაზე მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

ვლიორა, 1962 წელი.

მათ შორის, ვინც ომში იყო ისმაილ ქემალთან, სელიამ მუსანთან და ბაირამ ცურისთან ერთად.

დამოუკიდებლობის 50-ე წლისთავზე, ვლიორა, 1962 წელი.

ქემალ სტაფის სახ. გიმნაზიაში.
(1965 წელი)

სიტყვით გამოსვლა 1967 წლის 6 თებერვალს იქცა იმ მგზნებარე ცეცხლად, რომელმაც ჩვენი თანამემამულეების ყველა დიადი გული აანთო.

აშპ-ის V ყრილობამ დასახა ამოცანები პარტიის შემდგომი გარევოლუციონურებისთვის და ქვეყნის ცხოვრებისთვის, ყველა სფეროში სოციალისტური რევოლუციის განვითარებისა და გაღრმავებისთვის, რევიზიონისტ–იმპერიალისტების გაერთიანებული ფრონტის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

ფოტო აშპ-ის V ყრილობის სხდამათა დარბაზიდან.

1966 წლის 1 ნოემბერი. ამხანაგი ენვერ ხოჯა სიტყვით გამოდის აშპ-ის V ყრილობაზე მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

სიყვარულით წითელი მაისის დღეს ვუმღერით,
სალამს გვიძღვნის მაღლიდან მომღიმარე ენვერი...

შენთან ერთად — სამუდამოდ! ეს წითელი ყელსახვევები ჩვენი გულებია.
(1967 წლის ივნისი)

ლაკნასის სასოფლო–სამეურნეო
კოოპერატივში.

(ტირანა, 1967 წლის ივნისი)

ხელიხელ ბათა მუსლიმთან ერთად იქ, სადაც ოცდახუთი
წლის წინ პეზის ისტორიული კონფერენცია გაიმართა.

«...მოვრთავთ დრინს სინათლის ყელსაბამით...», — უთხრა მან ახალგაზრდა ლომებს — გვირაბგამყვანებსა და მდინარის კაშხლების მშენებლებს.

(ვაუსა და დეისში, 1967 წლის სექტემბერი)

ქალის აწმყო მშვენიერია, ხვალინდელი დღე კი კიდევ უფრო მშვენიერი იქნება!

(ლეჟი, ტროშანი, 1967 წლის სექტემბერი)

თქვენ, ჩვენო მამებო, კარგი ვაჟიშვილები გყავთ!

გამგზავრება შკოდერის ოლქში, 1967 წლის სექტემბერი.

ამას უანდერძებდნენ მოხუცნი თავიანთ ვაჟს: «ალბანელს შობს
არა დედის მუცელი, არამედ ძერა — სანადირო ფრინველიო».

წინ მაგარი თამბატოთი სავსე ქისა დაუდეს: «მოდი, მოვწიოთო!»

გამგზავრება შკოდერის ოლქში, 1967 წლის სექტემბერი.

ოდესღაც ამ სკოლაში იგი თავად იყო მასწავლებელი და და პირველად ააგიზგიზა ცეცხლი კორჩას ახალგაზრდობის გულებში. გულებშ.

ამხანაგი ენვერი მონაწილეობს რატი ტირინჟის სახ. სკოლის 50-ე წლის იუბილის აღსანიშნავ ღონისძიებაში. 1967 წლის ოქტომბერი.

პატარა ვარსკვლავი, სწორედ შენი ოქტომბრელებია შენი მომავალი!

«აბა ყური დავუგდოთ, როგორ უპასუხებს შენი ამხანაგი!»

(კორჩა, 1967 წლის ნოემბერი)

იმ უბნის ქუჩებში, სადაც პარტია დაარსდა.

(ტირანა, 1967 წლის ნოემბერი)

პატარა სახლო,
ჩემო საყვარელო პატარა სახლო!
შენ პარტიის ცკ-ის პირველი შენობა ხარ, და
მინისტრთა საბჭოს პირველი შტაბბინაც,
რომელიც ყველა სამინისტროს იტევდა —
თავდაცვიდან მრეწველობამდე,
ტყვიების ზუზუნი აღწევდა აქამდე,
და გადაბუგული პურის სუნიც...

«ფერთა და ღილილთა ოკეანეა,
გახარებულ ადამიანთა ოკეანე!»
ალბანეთის ქალთა კავშირის VI ყრილობაზე.

(1967 წლის ნოემბერი)

დიბრესა და ლიბრაჯში მომხდარი მიწისძვრის დღეებში

(1967 წლის დეკმბერი)

სალმის მიძღვნა მესაზღვრე მეჰმეტ ელეზისთვის, რომელიც მიდის პოსტისკენ,
რათა შეცვალოს მოვალეობის შესრულებისას დაიღუპული საკუთარი ძმა აგრონი.

(ბლატეს-დიბრას სასაზღვრო პუნქტი, 1967 წელი)

მარადიული ხსოვნა სკანდერბეგს, ლეგენდარულ, მამაც გმირს!

(მიტინგი კრუეში სკანდერბეგის გარდაცვალებიდან 500 წლისთავზე, 968 წლის იანვარი)

მხედართმთავრის ნაკვალევზე,
პარტიზანული ბრიგადების ნაკვალევზე.

ახალგაზრდებო, წიგნთან და წერაქვთან
ერთად შაშხანაც მუდამ თან გქონდეთ!

ალბანეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის V ყრილობაზე, 1968 წლის ივნისი.

დაუვიწყარი შეხვედრა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლებელში.

მატარებელში, რომელმაც პირველად გაიარა ახალაშენებულ რკინიგზაზე.

«სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია ჩვენი სოციალისტური რევოლუციის შემადგენელი ნაწილია და იდეოლოგიურ და კულტურულ რევოლუციებთან მჭიდრო კავშირში ტარდება»
სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და კოოპერაციის ეროვნული აქტივი.

(ტირანა, 1969 წლის თებერვალი)

ნორჩ ქვისმთლელებთან ერთად.

(ბერატი, 1969 წლის თებერვალი)

ნინეშში, მალაკასტრას მახლობლად, მიწისძვრის დღეებში, 1969 წლის აპრილი.

პერმეტის ყრილობის 25-ე წლისთავი.
(პერმეტი, 1969 წლის მაისი)

სასიხარულო დღესასწაღლს გილოცავთ, ძმებო და დებო!

«...პარტიის გული ერთი დედის გულზე უფრო ფართოა, –ესაა კეთილი გული, რომელიც მთელ ხალხზე ზრუნავს».

(8 ნოემბრის სახ. ბავშვთა სახლი, ტირანა, 1969 წლის ნოემბერი)

სოციალისტურ ალბანეთში აღარაა უსახლკარო ბავშვები,
ბავშვებს ყველგან პარტიის სიყვარული ათბობს!

«დედაჩემო, შენი მიხალი — ყველა ცოცხალზე უფრო ცოცხალია!»

ფოტო მიხალ დუროს დაჯილდოვებისა «სახალხო გმირის» წოდებით (სიკვდილის შემდეგ), 1969 წლის ნოემბერი.



ვაუში, დეიას რაიონი.

(1970 წელი)

პუკას მხერხავებთან ერთად.

(პუკა, 1970 წელი)

სულ საქმეებში ხარ გართული, ჩვენო ენვერ,
იქ, ზღვებისა და მთების გადაღმიდან მოისმის
ყველა ამ ნიქსონის, ფორდის, ბრეჟნევისა მისთანების ხმაური...
თავიანთი მტრობით თავს გვაბეზრებენ, –
დე გადაბუგოს ისინი ჩვენი კაჟის კოცონმა!

(ტროპოია, 1970 წლის მაისი)

პატივის მიგება მთის ბრძენისთვის — თავისუფლებისთვის მებრძოლ ბაირამ ცურისთვის.

(ტროპოია, 1970 წლის მაისი)

ფუტკრისებრ მაისად „გუგუნებს“ სახალხო საბჭო,
დუმს ვალბონა და მღერის შკელზენი,
და ფეხზე ამდგარა ყველა მთიელი, როგორც ჩანს ენვერს
ელის მთელი დრაგობია...

(ტროპოია, 1970 წლის მაისი)

დრაგობიას მწვერვალები.

ვინ ადის ახლა
დრაგობიას მთებზე?
ჩვენი პარტიის დამაარსებელი.
ტროპოიელებთან ერთად მსვლელობით
ბაირამ ცურის ხმამაღლა ესალმება.

(ტროპოია, 1970 წლის მაისი)

K. MARKS
KAPITALI
ENVER HOXHA
K. MARKS
KAPITA
ENVER HOXHA
MANIFESTI
I PARTISE
KO
ENVER HOXHA
V.I.LENIN
V.I.LENIN
IMPERIALIZMI
SI FAZA
Problemet
ENVER HOXHA
ENVER HOXHA
MBI DIKTATURËN
E PROLETARIATIT
ENVER HOXHA
MBI LETËRSINË
ENVER HOXHA
RAPORTE E FJA
1965 - 1966
ENVER HOXHA
ENVER HOXHA
Η ΑΛΒΑΝΙΑ ΑΝΤΙΜΕΤΩΠΗ
ΜΕ ΤΟ ΧΡΟΥΣΤΣΙΟΦΙΚΟ
ΡΕΒΙΖΙΟΝΙΣΜΟ
ENVER HOXHA
SELECTED WORKS
ENVER HOXHA
Der Kampf der
Partei der Arbeit Albaniens
gegen den
ENVER HOXHA
NË NDIHMË
ENVER HOXHA
RAPORTE E FJALIMIT
ЭНВЕР ХОДЖА
АПТ В БОРЬБЕ
ПРОТИВ
ХРУЩЕВСКОГО
РЕВИЗИОНИЗМА
انور خوجا
ألبانيا تفضح
الخونة
الخروشوفيين
ENVER HOXHA
DISCOURS
ENTRETIENS ET ARTICLES
1963-1980
VER HOXHA
RAPORT
ENVER HOXHA
LA CRISI
DEL REVISIONISMO
MODERNO ITALIANO
Enver Hoxha
Albania
frente a los
revisionistas
jruschovistas

«შევისწავლით მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას რევოლუციურ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში».

ვ.ი. ლენინის სახ. უმაღლესი პარტიული სკოლის 25-ე წლისთავზე, 1970 წლის 8 ნოემბერი.

«ოქროს ხელები გაქვთ. ეს მინაც აგიმღერებიათ!»

მინის სამრეწველოს მუშაკებთან ერთად კავაიეში, 1971 წლის აპრილი.

უკვე ჭაღარაც შერევია, მაგრამ მას მაინც მიმართავენ სიტყვით „შვილო“, ის კი მათ – „დედა“. ამ დედების სიყვარული უსაზღვროა!

იმ ოჯახების წევრებთან ერთად, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დასაყრდენს შეადგენდნენ. 1970 წლის აპრილი.

აშპ-ის VII ყრილობამ მთავარ ამოცანად განსაზღვრა სოციალისტური რევოლუციის გაღრმავება ყველა სფეროში და სახალხო ეკონომიკის გამტკიცება სოციალისტური ალბანეთის გადასაქცევად აგრარულ-ინდუსტრიულიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად. მან დააყენა პარტია გაბედულ და შორსმჭვრეტელ ბრძოლის გზაზე კომუნიზმის ყველა მტერთან ამერიკელი იმპერიალისტებისა და საბჭოთა სოციალ-იმპერიალისტების მეთაურობით, ყოვლისმომცველი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის წინაშე არსებულ ყველა დაბრკოლებასთან და მარქსიზმ-ლენინიზმის დასაცავად.

ფოტო აშპ-ის VI ყრილობის სხდომათა დარბაზიდან.

1971 წლის 8 ნოემბერი. ამხანაგი ენვენ ხოჯა სიტყვით გამოდის აშპ-ის VI ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

სუფთა ალბანური ცის არწივებს ეს ხელის ჩამორთმევა
სიმაღლეს მატებს, გულებს კი ფრთებს ასხამს.

მფრინავებთან შეხვედრა, 1971 წლის დეკემბერი.

რაც უფრო ძლიერი და მტკიცე იქნება ჩვენი რიგები, მით უფრო ძლიერი და დაცული იქნება ჩვენი სამშობლო.

(ჩოროვოდი, 1972 წლის 28-29 ნოემბერი)

«სოციალიზმს მასები აშენებენ, პარტია კი მათ ამაზე პასუხისმგებლობას აკისრებს»

პარტიის კომიტეტის მატის ოლქის პლენუმის მონაწილეებთან ერთად, 1972 წლის თებერვალი.

«ყოველთვის, როცა პარტია ამოცანებს სახავდა და პერსპექ-ტივებს გვიჩვენებდა სოციალიზმის ასაშენებლად, მუშათა კლასის სიტყვა, მისი აზრი და საქმეები გადამწყვეტი იყო მათი რეალიზაციისთვის».

მისასალმებელი სიტყვა ალბანეთის პროფკავშირების VII ყრილობაზე, 1972 წლის 8 მაისი.

ვლიორა, 1972 წლის ნოემბერი.

მაღლა ავწიოთ ისმაილ ქემალის დროშა...

(ვლიორა, 1972 წლის ნოემბერი)



მეტალურგიული კომბინატი, ელბასანი.

მეტალურგიულ კომპინატში.

(ელბასანი, 1973 წლის მაისი)

სიმღერა ჩიფთელით (სიმებიანი საკრავი) ერთად კრისტალურად
სუფთა წყალზე, რომელიც კოპლიკის წყაროდან მოედინება.

კოპლიკის ახალი წყალსადენის ექსპლოატაციაში შესვლის ცერემონიაზე, 1973 წლის ივნისი.

«ჩვენი ვეტერანები — ცოცხალი განსახიერება პარტიზანული გმირობის და უსაზღვრო მამაცობისა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის, ჩვენი სახალხო რევოლუციისთვის».

მისასალმებელი გზავნილიდან ვეტერანთა III ყრილობისადმი, 1974 წლის მარტი.

ამხანაგ ენვერს ეუბნებიან: «ვიშრომებთ, ვიბრძოლებთ და ვიცხოვრებთ როგორც ალყაში ყოფნისას».

ქარხანა «ტრაქტორში», 1974 წლის აპრილი.

ქარხანა «ტრაქტორის» მუშებთან.

(ტირანა, 1974 წლის აპრილი)

ხალხის საკეთილდღეოდ.

ხმის მიცემა სახალხო კრების დეპუტატების არჩევნებზე.

ტირანა, 1974 წლის ოქტომბერი.

შეხვედრა ამომრჩევლებთან.

(ტირანა, 1974 წლის 3 ოქტომბერი)

ექსპოზიციის – «ალბანეთი დღეს» – დათვალიერებისას.

(ტირანა, 1975 წელი)



მშენებარე ობიექტის ხედი — ჰიდროელექტროსადგური ფიერზზე.

(1978 წლის მაისი)

მეცნიერებათა აკადემიის დაარსების დღეს გადაღებული ფოტო.

(1973 წლის იანვარი)

პარტიისა და ამხანაგ ენვერის გაკვეთილებზე აღიზარდა მსახიობთა უდიდესი არმია – პარტიის თანაშემწე ჩვენი ხალხის კომუნისტურ აღზრდაში.

შეხვედრა მსახიობებთან, ტირანა, 1975 წლის ნოემბერი.



ალბანეთში ჩამოსხმული პირველი თუჯი.

ალბანური წარმოების თუჯის პირველ ფურცელზე ამოვტვიფრეთ სიტყვა: «პარტია».

(1976 წლის აპრილი)

დიდება სამშობლოსთვის, თავისუფლებისა და სოციალიზმისთვის თავდადებულებს.

(ტირანა, 1976 წლის 5 მაისი)

ᲐᲨᲞ-ის VII ყრილობამ გამოხატა საკუთარი დადგენილებების შესრულების ურყევი გადაწყვეტილება მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულების საფუძველზე, აგრეთვე, ამ უკანასკნელის დაცვა ყოველგვარი გაუკუღმართებისა და თავდასხმისგან, რათა ალბანელი ხალხი სოციალისტური რევოლუციის გზით ატაროს. საბჭოთა, იუგოსლავიური და სხვა რევიზიონიზმების ანტიმარქსისტულ თეორიებთან ერთად ყრილობამ ამხილა ჩინური რევიზიონიზმის კონტრრევოლუციური თეორია „სამი სამყაროს“ შესახებ. ყრილობამ მოამზადა პარტია და ალბანელი ხალხი სოციალიზმის მშენებლობისა და სამშობლოს დაცვისთვის ნებისმიერ სიტუაციაში მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით.

ფოტო აშპ-ის VII ყრილობის სხდომათა დარბაზიდან.



1976 წლის 1 ნოემბერი. ამხანაგი ენვერ ხოჯა სიტყვით გამოდის აშპ-ის VII ყრილობაზე მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

გაუმარჯოს პარტიას!

(აშპ-ის VII ყრილობა, 1976 წლის 1 ნოემბერი)

პარტიის სახლთან.

(1976 წლის ნოემბერი)

გვიხელმძღვანელე, პარტიავ! გვიხელმძღვანელე, ენვერ!

(აშპ-ის VII ყრილობა, 1976 წლის 1 ნოემბერი)

ახალი მსოფლიო ინტერნაციონალური იქნება

(შეხვედრა მარქსისტულ–ლენინური პარტიების დელეგაციებთან, რომლებიც აშპ-ის VII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ)

ალბანეთის სახალხო სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღება.

(1976 წლის 28 დეკემბერი)

ახალი კონსტიტუცია მთლიანად მარქსიზმ–ლენინიზმის იდეოლოგიის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარეობს და იგი განსახიერებაა ჩვენი შრომის პარტიის გაკვეთილებისა და რევოლუციური გამოცდილებისა, და იგი ჩვენი ხალხის ფართო მასების აღმშენებლობითი აზრის ანარეკლია.

«ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა იყო და რჩება რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცოცხალ ძალად. იგი ყოველთვის იყო პატრიოტული, მგზნებარე, მებრძოლი და პარტიის საქმის ერთგული, იყო მისი მარქსისტულ-ლენინური ხაზის თავდაუზოგავი დამცველი».

(ალბანეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის VII ყრილობაზე. ელბასანი, 1977 წლის სექტემბერი)

ალბანეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის VII ყრილობა.

1

გაივლიან დღეები და წლები. ისინი ჩიტებივით დაიზრდებიან და მთელ რესპუბლიკას შემოიფრენენ, მაგრამ არასდროს დაივიწყებენ 1977 წლის დეკემბრის დამლევს, როდესაც ბიძია ენვერთან ერთად ახალ წელს ზეიმობდნენ..

გამგზავრება გიროკასტრაში.

(1978 წლის მარტი)

გუგუნებს ჩერჩიზის მოედანი:
— მენატრებოდი, ენვერ!
— მეც!



უკვდავნი ხართ, ჩემო დებო!

«ორი ათასი საფეხური ძირითან მწვერვალამდე მთლიანად ქვისგანაა გამოთლილი. რაოდენ საყვარელი და ძვირფასია თითოეული ჩვენგანისთვის ეს ციხე–სიმაგრე».

ციხე–სიმაგრიდან გიროკასტრის დათვალიერებისას. (1978 წლის მარტი)

«რა საოცარი ციხე–სიმაგრეა! აბა სცადე მისი აღება!
აუღებლად იგი კედლებმა კი არა, ადამიანებმა აქციეს».

ასეთადვე დარჩი — ძლიერად და ახალგაზრდად!

«არასდროს არ უნდა დავტოვოთ ყურადღების გარეშე არა მარტო ბრძოლა, რომელიც უნდა ვაწარმოოთ ამაერიკული იმპერიალიზმისა და მთელი მსოფლიო კაპიტალისტური რეაქციული ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არამედ საბჭოთა, იუგოსლავიურ, ამჟამინდელ ჩინურ და სხვა რევიზიონიზმთანაც.»

გიროკასტრის ოლქის ხელმძღვანელ კადრებთან შეხვედრის ფოტო.

1978 წლის მარტი

მაშკულორე.
(1978 წლის მარტი)

ჩერჩიზისა და მისი მამაცი რაზმის ხსოვნის საპატივსაცემოდ,
რომელიც იბრძოდა ჩინარებით სახელგანთქმულ მაშკულორეში!

ფოტო დროპულელთა მიტინგიდან გრაპშაში მდებარე მაღალი ტიპის სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივში.

(1978 წლის მარტი)

«დროპულელები, ბერძნული ეთნიკური უმცირესობა, და ალბანელი ხალხი, კერძოდ, გიროკასტრას მკვიდრნი, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან, როგორც ხორცი ფრჩხილებთან, მათ ერთმანეთი და–ძმასავით უყვართ».

— ოქტომბერში ჩასატარებელ ფესტივალზე გიროკასტრაში გამართულ ქორწილს ვაჩვენებთ, — ამბობს ჯევათი.
— სიძის ეტლით მოყვანა არ დაგავიწყდეთ! — მიუგებს მათ ენვერი.

— სად იყავი ჩემო მეგობარო მილიო! ხშირად გკითხულობდი ხოლმე.
შენს სანახავად ყველაფერს გავაკეთებდი.
— შემოდი სახლში, ამხანაგო ენვერ.

— არ, შენ მიდი, სოკრატ კუტრა! შენ ასაკით ყველაზე უფროსი ხარ ჩვენს შორის. ჰოდა გაკვეთილიც შენ ჩაგვიტარე!

— მოგვცემენ როდესმე, ჯევათ?
მდინარენი ვლიორამდე მიაღწევენ,
რამიზუს ხომ უკვე გასცდნენ,
შავასინუც გადალახეს,
დალვინსაც შეუერთდნენ,
სადაც სულე კალაპოდინია!
(ალბანური ფოლკლორიდან — მთარგმნ. შენიშვნა)

— თქვენი ბედნიერება და მხიარულება მახარებს!
— პარტიამ მოგვიტანა ეს სიხარული!

(სარანდა, 1978 წლის მარტი)

ხელიხელ ვიცეკვოთ,
ჯერ ხომ პაწაწინები ვართ
ამ დიდ სცენაზე ძია ენვერს
მივულოცოთ, — მთებივით
იდღეგრძელე!

«ჩვენს კულტურას თავისებურებები გააჩნია და საპატიო ადგილი უკავია ხალხთა უძველეს კულტურებს შორის».

ლიუკოვა, 1978 წელი.

— ჩვენი ქვეყნის სურათების ცქერით ვერასდროს გავძღები!

«ჩვენი ქვეყნის ქალები თავიანთი მრავალრიცხოვანი საქმეებით ამტკიცებდნენ პარტიისადმი უდიდეს სიყვარულსა და განუზომელ ერთგულებას, რამეთუ სწორედ პარტიაში ხედავდნენ ისინი ნამდვილ ხელმძღვანელს, რომელმაც სინამდვილედ აქცია მათი დიადი ოცნება – ყოფილიყვნენ საზოგადოებაში თავისუფალი და თანასწორუფლებიანი, დაფასებული და პატივცემული ».

(ალბანელ ქალთა კავშირს VIII ყრილობაზე, დურესი, 1978 წლის ივნისი)



პარტია ღირსეულად აფასებს ეროვნული აღორძინების დიადი მოღვაწეების ხსოვნას, ისინი ჩვენი სამშობლოს დიდებაა!

«აი, როგორი ადამიანები შვა ალბანეთმა! მაშ ხალხის ისტორიის ყველა ეს დიადი ტრადიცია წმინდად შევინახოთ».





აბდიულის, ნაიმს, სამის (ფრაშერი) — მარადი პატივი და დიდება!

ჩვენი სახალხო არმიის – სამშობლოსა და რევოლუციის მონაპოვართა ერთგული დამცველის – შექმნიდან 35-ე წლისთავისთვის მიძღვნილ კრებაზე.

(1978 წლის ივლისი)

კურსანტებისა და მასწავლებლების მწკრივის შემოვლა ჩვენი სახალხო არმიის შექმნიდან 35-ე წლისთავის აღნიშვნის დღეს.

(ტირანა, 1978 წლის ივლისი)

«ახლა ისეთი დროა, რომ ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ბრძოლით მოპოვებული ეროვნული სუვერენიტეტი შეიძლება შევინარჩუნოთ და დავიცვათ მხოლოდ ჯანსაღი და დისციპლინირებული არმიით, რომელიც აღიზარდა პროლეტარული გრძნობებით და ხალხისადმი და სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებით»

(1978 წლის ივლისი)

1978 წლის ივლისი.

ძვირფასი სამახსოვრო ფოტო ჩვენი სახალხო არმიის
დამაარსებელთან და მხედართმთავართან ერთად.

(1978 წლის ივლისი)

დრილიონში.

დედაქალაქში გამართული მიტინგი აშპ-ის VII ყრილობის
წარმატებით დამთავრების გამო.

გაუმარჯოს ხალხას, გაუმარჯოს პარტიას!
დიდება მარქსიზმ–ლენინიზმს!

დაიბეჭდა პოლიგრაფიულ კომბინატში «შტიუპშკორნია ე რე»

ტირანა, 1978 წელი